	შუალედური სასწავლო მიზანი N1
სამიზნე ცნებები: ჟანრი (შედეგები: 1, 3, 7) კომპოზიცია (შედეგები: 1, 2, 4, 7) კონტექსტი (შედეგები: 1, 4) საკომუნიკაციო სიტუაცია (შედეგები: 1, 7, 8) ქვეცნებები: არამხატვრული ჟანრი; შინაარსობრივ-კომპოზიციური ელემენტები; კონტექსტური ფაქტორები: სიტუაციური ფაქტორები.	**საკითხი -** პერსონაჟის ბლოგპოსტის შექმნა **ქვესაკითხები**: ბლოგპოსტის ჟანრული მახასიათებლები; ავტორის განცდები და დამოკიდებულებები; სოციოკულტურული გარემო, ფასეულობები;სამიზნე აუდიტორია,კომუნიკაციის არხი **საკვანძო შეკითხვები:** • როგორ დავწერო ბლოგპოსტი, რომელიც მომხმარებელს დააინტერესებს? • როგორ წარმოვაჩინო ბლოგპოსტის ავტორი, როგორც ფინანსური გამოწვევების აქტიური მონაწილე და სწორად შემფასებელი? **კომპლექსური დავალება - ბლოგპოსტის შექმნა** თქვენ წაიკითხეთ ნათია როსტიაშვილის მოთხრობა ,,ყვითელი ბერეტი“. წარმოიდგინეთ, რომ ფინანსური საკითხების არცოდნისა და გაუფრთხილებლობის გამო დაზარალებული მოთხრობის პერსონაჟი ქეთი ბლოგს ქმნის და პოსტებს წერს. დაწერეთ მისი სახელით ერთი ვრცელი ან რამდენიმე მცირე მოცულობის ბლოგპოსტი, რომლებშიც, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე,ემოციურ და ამავე დროს პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს აშუქებს

სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს რომ:	**შეფასების კრიტერიუმები** **ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინეთ:** • რატომ არის დაზოგვა და დაზღვევა მნიშვნელოვანი ,როგორც ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად, ასევე თანამედროვე სამყაროში ადაპტირებისათვის **(კომპოზიცია,კონტექსტი);** როგორ უნდა დაიცვან ადამიანებმა ფინანსური უსაფრთხოება**(კომპოზიცია);** • რამდენადაა გათვალისწინებული ბლოგპოსტში საზოგადოების დაინტერესება აღნიშნული საკითხით**(საკომუნიკაციო სიტუაცია);** • ბლოგპოსტის ჟანრობრივი მახასიათებლები **(ჟანრი)**
ჟანრი (შედეგები: 1, 3, 7) • ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. • ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროა ტექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად. კომპოზიცია (შედეგები: 1, 2, 4, 7) • ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი	

კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. • ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით. • ტექსტებს შორის არსებულ მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის; • მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად. კონტექსტი (შედეგები: 1, 4) • ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. • კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს	

სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. • კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად. საკომუნიკაციო სიტუაცია (შედეგები: 1, 7, 8) • საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს). • სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხი ზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან შინაარსზე. • სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებისთვის.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი 1. კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნა-გამოცდილების გახსენება

დაკვირვება თემატურ ფოტოებზე და მათზე მსჯელობა შემდეგი კითხვების საშუალებით:

შეკითხვები:

- დააკვირდით ფოტოებს,როგორ ფიქრობთ,რას უკავშირდება თითოეული მათგანი?ახსენით,რატომ ფიქრობთ ასე?
- თქვენი აზრით,როგორია ფოტოზე გამოსახულ ადამიანთა ყოფა? ივარაუდეთ,რაზე ფიქრობენ ისინი? რა მინიშნება გაქვთ საამისოდ?
- გქონიათ თუ არა შემთხვევა,როცა თანხა დაგიზოგავათ?რატომ,რა მიზნით?
- ცხოვრებაში რა უფრო მთავარია,ფულის დაზოგვა თუ მისი სწორად გამოყენება?
- როგორ ჩამოაყალიბებთ თქვენი სიტყვებით,რას მოითხოვს თქვენგან ეს დავალება? რა ცოდნა-გამოცდილება გამოგადგებათ მის შესაქმნელად?

- რისი შესწავლა დაგჭირდებათ, ჩემი დახმარება რაში დაგჭირდებათ?

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

- რატომ არის დაზოგვა და დაზღვევა მნიშვნელოვანი,როგორც ფინანსური საკითხების მოსაგვარებლად, ასევე თანამედროვე სამყაროში ადაპტირებისათვის (კომპოზიცია,
  კონტექსტი);
  როგორ უნდა დაიცვან ადამიანებმა ფინანსური უსაფრთხოება(კომპოზიცია);

აქტივობა 1. დაზოგვისა და დაზღვევის შესახებ ინფორმაციის გაცნობა
რესურსები:
დაზოგვა

https://finedu.gov.ge/ge/dazogvis-shesakheb-1

https://finedu.gov.ge/ge/rogor-unda-moemzadot-dazogvistvis

https://finedu.gov.ge/ge/rogor-avarchio-depoziti-1

დაზღვევა

https://finedu.gov.ge/ge/dazghvevis-arsi-1

https://finedu.gov.ge/ge/zogadi-rchevebi-dazghvevis-shedzenisas-1

https://finedu.gov.ge/ge/sadazgvevo-bazris-momkhmarebelta-uflebebi-1

(ჯგუფური მუშაობა)
მოსწავლეებს გაცნობის მიზნით დაურიგდებათ ფინანსური წიგნიერების პორტალიდან ამონარიდი რესურსები, ,,მარკირების“მეთოდით შემოხაზავენ, მოინიშნავენ მნიშვნელოვან,საინტერესო და მათთვის უცნობ ინფორმაციას.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	• როგორ ფიქრობთ,რატომ უნდა დაზოგოთ თანხა? • როგორ უნდა მოემზადოთ დაზოგვისათვის? • დაზოგვის რომელ მეთოდს მიანიჭებთ უპირატესობას,რატომ? • რა ნაბიჯებს გადადგამთ სადაზღვევო პროდუქტის შეძენამდე? • როგორ მოიქცევით სადაზღვევო პროდუქტის შეძენის შემდეგ? • რა რისკის ქვეშ აყენებს ადამიანს ფინანსური უსაფრთხოების საკითხების არცოდნა? • რას ურჩევდით თქვენს თანატოლებს ფინანსების მართვასთან დაკავშირებით?

აქტივობა 2. ტექსტის გაგება-გააზრებისაკენ მიმართული კითხვა-პასუხი
რესურსი:ნათია როსტიაშვილის მოთხრობა ,,ყვითელი ბერეტი“(დანართი 1.)
მოსწავლეები **ინდივიდუალურად** კითხულობენ მოთხრობას.მოთხრობის წაკითხვის შემდეგ დაისმება შეკითხვები.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	• მოთხრობის მიხედვით,როგორ აფასებს ქეთი მომხდარ მოვლენებს? • როგორ დაახასითებდით ქეთის? • როგორია ბექნუსა და აწოწილის პიროვნული ღირებულებები?როგორ გამოვლინდა მათი პიროვნული თვისებები ფინანსებთან მიმართებით? • როგორ,რა ხერხების საშუალებით გვიჩვენებს ავტორი კონტრასტს პერსონაჟებს შორის,რა დროს იჩენს თავს კონტრასტი?რაზე მეტყველებს ეს? • როგორ ფიქრობთ,რატომ ვერ გაითვალისწინა ქეთიმ ბექნუს ფინასური გაკვეთილი?რას დაასკვნით ამ ეპიზოდით? • უმძიმესი განსაცდელის ჟამს რა აღმოაჩინა ქეთიმ? როგორ ფიქრობთ,გაითვალისწინებს ამ მიგნებას ქეთი ცხოვრებაში? • ეთანხმები თუ არა ქეთის თვალსაზრისს ცხოვრების დაგეგმვის შესახებ,თუ ეთანხმები,ახსენი რატომ?

აქტივობა 3.მოთხრობაში ასახული პრობლემის არსისა და პრობლემის შედეგების გააზრება
რესურსი: გრაფიკულ-მაორგანიზებელი სქემა მოთხრობაში ასახული პრობლემის გამოსაკვეთად და პრობლემის შედეგების გასააზრებლად

შეკითხვები	პრობლემის არსი	მინიშნება ტექსტიდან	პრობლემის შედეგები
1.რა არის მთავარი პრობლემა?			
2. რა იწვევს პრობლემას?			
3. რა გავლენას ახდენს პრობლემა პერსონაჟებზე?			

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	• როგორ დაინახეთ პერსონაჟების ცხოვრების მაგალითზე ფინანსური მიზნების-დაზოგვისა და დაზღვევის არსებობის მნიშვნელობა და სარგებლიანობა? • როგორ ფიქრობ, რამდენად დაგეხმარება პერსონაჟების ცხოვრებისეული დეტალები იმაში,რომ შენი ფინანსური მიზნები იყოს მიღწევადი, კონკრეტული და დროში გონივრულად გაწერილი? • როგორ მოახერხებთ პრობლემისადმი თქვენი დამოკიდებულების გამოხატვას პრეზენტაციაში?

ნაბიჯი 2. რამდენადაა გათვალისწინებული ბლოგპოსტში საზოგადოების დაინტერესება აღნიშნული საკითხით(საკომუნიკაციო სიტუაცია); ბლოგპოსტის ჟანრობრივი მახასიათებლები (ჟანრი)

აქტივობა 1. ბლოგპოსტის მახასიათებლებისა და ბლოგპოსტის მკითხველის მოთხოვნების გაცნობა

რესურსი 1. როგორ ვწეროთ ბლოგპოსტი
https://dialogueofgenerations.wordpress.com/2018/06/15/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%95%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%97-%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2/

რესურსი 2. ბლოგის შექმნა და ბლოგპოსტის დადება
https://www.youtube.com/watch?v=QvV6sIdflNI

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	• რა უნდა გაითვალისწინოს ბლოგპოსტის ავტორმა პოსტის დაწერის? • რა დატვირთვა აქვს პოსტის სათაურს,თანდართულ ფოტოს/ ფოტოებს? • რა მოთხოვნები აქვს საზოგადოებას, ინტერნეტმომხმარებელს პოსტის ავტორის მიმართ? • როგორ ,რაში გამოიყენებთ აღნიშნულ რესურსებს?

აქტივობა 2.აუდიტორიის სპეციფიკის გათვალისწინება. იდეების გენერირება, პირველადი ვერსიის საფუძველზე საბოლოო ვერსიის მომზადება და ნამუშევრის წარდგენა.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	• რამდენად არის მნიშვნელოვანი ბლოგპოსტის დასაწერად მოთხრობის სიღრმისული გააზრება,პერსონაჟების თვისებებზე, ქმედებებზე, ღირებულებებზე,დამოკიდებულებებზე დაკვირვება? • როგორ გამოიყენებთ ფინანსური საკითხების ცოდნას? • როგორ ასახავთ მოთხრობაში გადმოცემულ ფაქტებს პოსტში ისე,რომ პოსტი მშრალი და უინტერესო არ იყოს? • როგორ დაიწყებდით ბლოგპოსტის წერას? როგორ მიმართავდით ინტერნეტსაზოგადოებას,რითი მიიპყრობდით მათ ყურადღებას?

	• რამდენად გაითვალისწინეთ პირველად ვერსიაში,რომ ბლოგს კომენტარებით მკითხველი ეხმაურება? • როგორ დაასრულებდით ბლოგპოსტს? • იმსჯელეთ,თქვენ მიერ დაწერილ ბლოგპოსტში რამდენად აისახა ავტორის შინაგანი სამყარო,ცხოვრებისეული გამოცდილება?

კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების ბანკი (შეარჩიეთ საჭიროებისამებრ):

- რატომ მიგაჩნიათ,რომ სრულად და დამაჯერებლად წარმოაჩინეთ პრობლემა?
- რა ახალი ნიუანსებით გამდიდრდა ტექსტის თქვენეული აღქმა?
- რამდენად საინტერესო იყო აუდიტორიისათვის პრობლემის თქვენეული ხედვა?
- აღწერეთ, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი, რა ნაბიჯები გადადგი, რა თანამიმდევრობით;
- რა დაბრკოლებებს წააწყდით დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერით? რატომ ვერ გადაჭერით? როგორ მოიქცევით მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრათ? რა გაგიძნელდათ, რა გაგიადვილდათ? რატომ?
- თქვენი თანაკლასელის რომელმა გამოსვლამ მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება? რატომ? რით?
- რას გააკეთებდით განსხვავებულად, ახლა რომ იწყებდეთ დავალებაზე მუშაობას?
- როგორ/რა სტრატეგიების გამოყენებით გააუმჯობესებდით მიღწევებს/როგორ მიაღწევთ უკეთეს შედეგს?

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება **ქვესაკითხი**	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**	**მოლოდინები** **<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>**	**მასწავლებლის კომენტარი** **(ივსება საჭიროებისამებრ)**
ჟანრი (შედეგები: 1, 3, 7) **ქვესაკითხები:**	1. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვთ საერთო ჟანრობრივი მახასიათებლები (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული), რომლებიც განსხვავდება სხვა ჟანრების მახასიათებლებისგან. 2. ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა საჭიროატექსტის გასააზრებლად, სხვადასხვა ჟანრის ტექსტების შესადგენად.	მოსწავლეს შეუძლია ბლოგპოსტის ჟანრობრივი მახასიათებლების (შინაარსობრივი, ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული) განსაზღვრა და მიზნობრივად გამოყენება.	
კომპოზიცია (შედეგები: 1, 2, 4, 7) **ქვესაკითხები:**	1. ტექსტის მთლიანობას განაპირობებს მისი კომპოზიცია/შინაარსობრივი მხარე. კომპოზიციას/შინაარსობრივ მხარეს ქმნის სხვადასხვა ელემენტის (მაგ., თემის, იდეის, ხედვის კუთხის, პერსონაჟთა სახეების) ერთობლიობა. 2. ტექსტის მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი, სტრუქტურული და ორგანიზაციული ელემენტების ცოდნისა და პირადი გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ტექსტთან დაკავშირებული იდეების წამოყენება, ტექსტის წარმოჩენა ახალი კუთხით/ფორმით. 3. ტექსტებს შორის არსებულ	• საუბარი დაზოგვისა და დაზღვევის, ფინანსური უსაფრთხოების დაცვის შესახებ; • მოთხრობის მნიშვნელოვან დეტალებზე (პერსონაჟი,მისი შინაგანი სამყარო, ღირებულებები, დამოკიდებულებები)დაკვირვება; • პრობლემის არსის გამოკვეთა და მსჯელობა პრობლემის მიზეზ-შედეგებზე.	

	მიმართებებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია შესასწავლი ტექსტის მნიშვნელობის, იდეის, თემ(ებ)ის გააზრებისთვის; 4. მთლიანობის განმსაზღვრელი შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტების სიღრმისეულად გასააზრებლად, მიზნის შესაბამისი ტექსტების შესადგენად.		
კონტექსტი (შედეგები: 1, 4) **ქვესაკითხები:**	1. ყველა თხზულებას აქვს თავისი კონტექსტი - ფონი თუ გარემო, რომელშიც შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები. 2. კონტექსტს შეიძლება განსაზღვრავდეს სხვადასხვა ფაქტორი, მაგ.: ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება, სოციალური წრე, შეხედულებები; ადგილი, ეპოქა ან კულტურული არეალი, რომელშიც თხზულება შეიქმნა. 3. კონტექსტის ცოდნა მნიშვნელოვანია ტექსტის მრავალმხრივად გასაგებად, მისი მნიშვნელობის, აქტუალობის გასააზრებლად, ეფექტიანი ტექსტების შესადგენად.	• ბლოგპოსტის ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილების გადმოცემა/შეფასება; • მსჯელობა ფინანსური საკითხების ცოდნის მნიშვნელობაზე თანამედროვე სამყაროში ადაპტირებისათვის.	

საკომუნიკაციო სიტუაცია (შედეგები: 1, 7, 8) **ქვესაკითხები:**	1. საკომუნიკაციო სიტუაცია გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციურ ფაქტორს: კომუნიკაციის მიზანს, ადგილსა და დროს, თემას, კომუნიკაციის მონაწილეებს (ადრესანტს, ადრესატს). 2. სიტუაციური ფაქტორები, კომუნიკაციის ტიპი და არხიზეგავლენას ახდენენ კომუნიკაციის ფორმასა ან შინაარსზე. 3. სიტუაციური ფაქტორების, კომუნიკაციის ტიპისა და არხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებისთვის.	• კომუნიკაციის მიზნის,ადგილისა და თემის განსაზღვრა; • წარმატებული და ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება.	

ნამუშევრის შესახებ

ჩემ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო ნამუშევარი ითვალისწინებს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე, მხატვრული ტექსტის საფუძველზე, ფინანსური წიგნიერების საკითხების გააზრებას.

კომპლექსური დავალების ერთ-ერთი რესურსია ნათია როსტიაშვილის მოთხრობა ,,ყვითელი ბერეტი“.

დაგეგმილი კომპლექსური დავალება შეესაბამება ,როგორც საბაზო საფეხურის საგან ,,მოქალაქეობის“სტანდარტის შედეგებს,ასევე,საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღწევ შედეგებს.(**ქართ. საბ. 1.2.3.4.5.8)**

აღნიშნულ კომპლექსურ დავალებებს შესაბამისი აქტივობებით ამჟამად ვახორციელებ ქ. ოზურგეთის N 3 საჯარო სკოლის VIII კლასში.

დანართი 1.

ნათია როსტიაშვილი

„ყვითელი ბერეტი“

როცა რამე დამპლური ამბავი ხდება და არაფრის შეცვლა არ შეგიძლია, უბრალოდ ფიქრი სხვა რამეზე უნდა გადაიტანო." -ბექნუ მარიგებდა ხოლმე და აჰა, ორივე დამპლურ ამბავში ვართ. ოღონდ ფიქრის კი არა, მზერის გადატანასაც ძლივს ვახერხებ ბექნუს ფერდაკარგული სახიდან ფეხმოლაყლაყებულ ტუმბოზე. დღემდე მჯეროდა, რომ "გახევებული" ყურით მოთრეული სიტყვა იყო, არარსებული. მე ვარ ახლა ეგ სიტყვა და რაღაც სასწაულით - ვარსებობ.
პალატის ტუმბოზე ბექნუს ყვითელი ბერეტი დევს. კი არ დევს, გდია, რაღაცნაირად უსიცოცხლოდ, ჩაჩუტულ-მოფლაშული. ასე მგონია, როგორც კი ბექნუ გონზე მოვა, ესეც ნელ-ნელა ამოიფოფრება.
ფიქრი ბექნუდან ბერეტზე გადამაქვს.
ბერეტზე ფიქრისას კიდე იმ დამპალი, აწოწილი კაცის გამოტოვება არ გამოდის.

***

მე და ჩემს აწოწილს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გემოვნება გვქონდა.
ერთხელაც, დაბადების დღე აქვს და ვფიქრობ, რა ვუყიდო, რომ მოეწონოს? რა თქმა უნდა ის, რაც მე არასდროს მომეწონება. მაგალითად, მჭახედ ყვითელი ფერის ბერეტი - კაცზე.
რავი, რა ჭანჭიკი მოეშვა კოსმოსს ამისთანა, რომ ჩვენ ორის გემოვნება უცებ ერთმანეთს დაამთხვია... დაუჯერებელი კია, მაგრამ ეგრე მოხდა - ყვითელი ბერეტი არც აწოწილს მოეწონა.
ეს ძლივს ნაშოვნი ყვითელი საცოდაობა გადასაგდებად დამენანა, წამოვიღე და ბექნუს ვაჩუქე "ნიშნადმეგობრობისა", მეთქი თან ხუმრობაში ჩამეთვლება, თან არც მთლად გადაგდება გამოვა.
...და ბექნუს ეს ჩემი საჩუქარი გაუხარდაა - სასწაულად!

***

ცხვირის წვერს ხელის ზურგით ვიწმენდ.

"შენ ცხვირიდან უფრო ტირი, ვიდრე თვალებიდან" - ბექნუმ მითხრა ერთხელ და ისეთი ხარხარი ამიტყდა, ძლივს გავჩერდი. ეგ ბექნუს საუკეთესო და კაცმა რომ თქვას, ერთადერთი ნორმალური ხუმრობაა.

***

ერთხელ, ნასვამი იყო და მეუბნება, ვინმემ რომ გკითხოს, ბექნუ რა კაციაო, რას ეტყვიო?
- რას ვეტყვი და... იმას, რომ ჩემი მეგობარი ბექნუ ის კაცია, ვინც საქმეებს თლის და მოგებას ბანკში აწყობს. მანქანებით ვაჭ...ბიზნესობს. ხან მანქანებით, ხან - ლიმონის შესანახი კონტეინერებით. სულერთია, მთავარია იაფად იყიდოს, ძვირად გაყიდოს. ან სხვებმა იყიდონ-გაყიდონ და ამას პროცენტი მისცენ. ოღონდ დიდი. ოღონდ ბევრი. ცოტა ფული ბექნუს არ უყვარს. ხოდა, რომ მეტყვის ის ვიღაცა, "ვაა, მაგარია ბევრი ფულიო", ვეტყვი, გგონია იმ ფულს გემრიელად ხარჯავს? ნწუ. ჩემთვის გაუგებარ რამეებში ანაწილებს:
1.მანქანის დაზღვევა, 2. ჯანმრთელობის დაზღვევა, 3. ვადიანი ანაბარი.
ჰო, კიდევ: ფულს თავისთვის ვერ იმეტებს, ერთი ჯემპრით დადის და შეყვარებულს უგროვებს კბილებდაკრეჭილი ირმის ფორმის ყულაბაში და ამ შეყვარებულს ცოცხალი თავით არ მაცნობს.
გავხედე და თვალებში ცრემლი არ აქვს?! ვერ ვხვდები, სიხარულისაა, წყენის თუ სიმთვრალის. პირში ჩაგუბებულ სათქმელს შიგვე ატრიალებს და ყლაპავს.
ფხიზელს სულ დავცინოდი, შენ ფული რად გინდა, დახარჯვა არ იცი-მეთქი.
- შორს ვიყურები. გონიერი კაცი ყოველთვის ფიქრობს მომავლზე!
- ჰაჰაა "შავ დღეზე?"
- დიახაც!
ჩემნაირებს რატომღაც გვგონია, რომ ცუდი ამბები მხოლოდ სხვებს შეიძლება შეემთხვას, ჩვენ - არასოდეს. ჰოდა აჰა, ეს შავი დღე მართლა დადგა და რა ვიცი, რა უნდა მექნა ახლა ჩემი კაპიკებით და ზღვა პრობლემით, ბექნუს რომ ყველაფრის დაზღვევა არ ჰქონოდა? მანქანის ამბავსაც მოაგვარებენ და მკურნალობისასაც.

***

მე რომ აფთიაქიდან წამოღებული ტკიცინა და გათამაშების დღისთვის უკვე დაჭმუჭნულ-დალაქავებული ბილეთით დიდი ფული მოვიგე, ეგრევე ბექნუსთან გავიქეცი, მანქანას მაყიდინებს-მეთქი.
გააღო თუ არა, ჩავირთე: ხმით, ხელებით, ფეხებით, ჟესტით, ყველაფრით ვყვირი სიხარულისგან. ეს კიდევ:
- რომელი მოდელი მანქანა გინდა? - საქმიანად მეკითხება.
არც "გილოცავ," არც "ვა, რა კაია" -არაფერი.
- ვერცხლისფერი. - ვეუბნები სილასავით მოწყვეტით. - მოდელი სუ ცალ ფეხზე მკიდია. - წამოვედი გაცოფებული.

დილით მესიჯი მომწერა: "მანქანა მხოლოდ ფერი არაა, ხარჯიცაა. ერთი და იგივე მანძილის გავლისას ზოგი მეტ ბენზინს წვავს, ზოგი - ნაკლებს. ჩამოდი, გაყიდინებ."
ჩავედი. გზაში ხმა არ ამოგვიღია.
მანქანების ბაზრობაზე ვიღაც ბექნუზე დაბალი და მსუქანი კაცი მოვიდა, ხელი ჩამოართვა, თავის გასაყიდ მანქანასთან მიგვიყვანა იქვე. მანქანაც ეგეთია, მოკლე და გაბერილი.
ჩავჯექი. მომწონს, რა ვიცი. პატარაა, კოხტად ვერცხლისფერი.
- ჰა?!. როგორია ბექნუ?
ვითომ არ ესმის, იმ კაცს ელაპარაკება.
ამასობაში ვიღაც ტიპი მოდის, უგრძელესი ხელ-ფეხი აქვს და ფერადი რამეები აცვია.
- აწო ვარ, გაუმარჯოს. - მეჩურჩულება, - ამ ბოდიში და კურკლისხელა სალონში რა კაცი უნდა ჩატიოთ, ქალბატონო გოგონა? ამ ნისან ჯუკის ერთი ბეწო სალონში ნამდვილ მამაკაცს ვერ ჩატევ. შანსი არაა. მე ვყიდი მაგარ მანქანას, ცე-ელ-კა მერსედესს.
- და ეს "აწო" სადაური სახელია? არ გამიგია. - ისე ვეკითხები. თითქოს "ცეელკა" და "ნისანჯუკი" ხომ რას ამბობ, გამიგია.
- შემოკლებითი. - იღრიჭება. - აწო, ანუ აწოწილი. აქ შემარქვეს, ამათნაირმა მეტრა ოცებმა,- ბექნუზე და დაბალზე მანიშნებს.
- ბექნუ! - ვეძახი, - ამ მანქანას ვყიდულობ!
ეგეც შენ, აწო ხარ თუ მაწო, თავხედო!

***

ქალბატონო ქეთი, უნდა დაგელაპარაკოთ, - ექიმს ისეთი სახე აქვს, ვერ მიხვდები, კარგადაა საქმე თუ ცუდად. ძალიან კარგადაა თუ ძალიან ცუდად.

***

იმ მანქანის ყიდვის ამბავი რომ მოინელა ბექნუმ, მერე მანქანის დაზღვევაც დამაძალა.
- ბექნუ, აი, რატომ უნდა ვაჩუქო ყოველთვე ვიღაცას ფული?! იქნებ საერთოდ არ დამჭირდეს ეს დაზღვევა?
- დაგჭირდება. ეგ მცირე თანხა არ გაგაღარიბებს და აი, სერიოზული ავარია რომ მოგივიდეს მერე რას იზამ? კარგი, შენს მანქანას გადააგდებ, მაგრამ სხვისი თუ დალეწე, არავინ შეგარჩენს. დიდ თანხას როგორ გააჩენ? პროცენტული ვალით? და იმ ვალს როგორღა გადაიხდი შენი ორკაპიკიანი შემოსავლით? გირჩევნია ცოტ-ცოტა იხადო ყოველთვე და მომავლში დიდი განსაცდელისგან დაზღვეული იყო. მთავარი ის კი არაა, რამდენი ფული გაქვს, მთავარია რამდენად გონივრულად ანაწილებ.
"საერთოდ არ დამჭირდეს" კი არა, სადაზღვეოში სამსახურივით დავდიოდი. რეგულარულად.
დაუჯერებელი ამბავი მოხდა, მე და აწო დავწყვილდით.

- გითხარი რა, ამ კურკლ მანქანაში რომელი ნამდვილი მამაკაცი ჩაეტევა? - ჩვენი ურთიერთობა ძირითადად აწოს საყვედურებია. - გეყიდა, ის დედააფეთქებული მერსედესი ჩემგან, რას მეიაზვებოდი? როდესმე გამოცვლი ამ ნეხვ მანქანას საერთოდ?
მაპატიე, ძვირფასო, - ვეუბნები - ამ ჩემი გაფხეკილი ჯიბით ბევრი-ბევრი შენ გამოგცვალო, მანქანას -ვეღარ.

***

ექთანი მხარზე მეხება, თვალებს არ ვახელ. თვალდახუჭულიც ხომ დამპლურ ამბავში ვარ, მაგრამ ახელილი რაშიც ვარ, იმას კი ჯობია.

***

ბექნუსთან ვართ სტუმრად მე და აწო. ყავის მოსადუღებლად გამოვედი და ფარდას ამოვეფარე. ვაკვირდები. ზუსტად ვიცი, ლაპარაკს ვერ ააწყობენ, მუჭში მეცინება.
აწო ადგა და ყულაბაზე ანიშნებს:
- მოდი, ავიღოთ შენი ნაშის ფული, მაგარ ქალებში წაგიყვან!
ბექნუ ადგა, თაროდან ყვითელი ბერეტი აიღო, მუჭში მოჭმუჭნა.
- შენ რა გგონია, - აწო ეუბნება. - მე მარტო ამის იმედზე ვარ? - ხელით სამზარეულოსკენ ანიშნა და როგორც ვიდექი, ფარდის ნაჩვრეტთან დახრილი, პირთან მომუჭული ხელით - წამში გავქვავდი.
ეხლა აქედან ჩავალ ქეთოსთან... ხო ხვდები... და ღამე მივდივარ მაგარ გულაობა... ბექნუმ ეს ბერეტიანი მუშტი აეგრე, ქვემოდან ზემოთ აუქნია ცხვირში.

***

ექიმი რაღაცას მელაპარაკება. "ცია, ცია, ცია..." -იმეორებს ჩემი ტვინი. რა ცია? ვინ ცია? თვალებს ჯიუტად არ ვახელ. იქნებ ექიმის სახელია?

***

...ის რომ გავარდა ეგრე, ცხვირიდან მაისურზე ჩამოწუწული სისხლით და კიბეები ჩვენი გინებით ჩაირბინა ბექნუს მივვარდი:
- დამპალო! სხვის საქმეში ცხვირს რატომ ყოფ? გინდა მეც შენსავით მარტოობაში ჩავმყაყდე?
ისტერიკამ რომ გამიარა, მეთქი წავედი, აწოსთან მივდივარ, დამპალო.
და ბექნუმ, ჩემმა ფუმფულა ბექნუმ, ჩემი მანქანით გაგიყვან, შენი ნერვებით საჭესთან არ ივარგებსო.

***

აცია... აცია... - თავში მიტრიალებს. - რაა? იქნებ ცაცია? ბაქნუ იყო ცაცია და მერე რა ამით?

***

...გზაში მიყვება რაღაცებს, აწოზე, დამპლურებს. ვეღარ დაგიმალავო, ვისგანაც მანქანა იყიდე, კარგად იცნობსო ეგო, მაგისგან ვიცოდი და გადავამოწმეო და მეთქი რეებს უგონებ, მე-ზიზ-ღები! და რა მეტაკა, მუშტებს ვუშენ და საჭეს ვეჯაჯგურები შეშლილივით, თვალებზე ხელებს ვაფარებ ბექნუს. უცებ შევიშალე, წამებში. მერე ყველაფერი აყირავდა და აგე, აქვეა, პალატაში.

***

ცია. აცია. ტ. ამპუ. ამპუტაცია.
რაა?! მინდა გავქანდე და კედელს შევასკდე, მაგრამ ვერ ვინძრევი. ცხვირთან ფლაკონი მოაქვთ, თვალს ვახელ.

***

ბექნუ. სანამ გაითიშებოდა, უცნაური რამე მითხრა: "ის შენთვისაა" და ცისკენ მანიშნა.

***

- ოპერაციამ კარგად ჩაიარა, - ექიმი მეუბნება.
მინდა შევაფურთხო. ძალიან მინდა, შევაფურთხო, მაგრამ მხოლოდ თავს ვუქნევ. ღმერთო, რა ცინიზმია, ბექნუსთვის ფეხის ჩამოთლას "კარგად ჩაიარა" უწოდო!
ვიღაც სხვა თეთრხალათიანი მამშვიდებს, რომ არსებობს სხვადასხვაგვარი პროთეზები. რაღაცას ვლუღლუღებ იმაზე, რომ საუკეთესოს შევიძენთ. ბანკში შენახული თანხა გვაძლევს ამის საშუალებას.
უცებ ვხვდები, რომ ცხოვრების დაგეგმვისას ყველაზე მთავარი ისაა, რაზეც სიცილით ვკვდებოდი - შავი დღისთვის გადადება. დაზღვევის ქონა, ანაბრები. ასე ყველაზე მთავარს ყიდულობ - სიმშვიდეს. სიცოცხლესაც.
ესემესი მომდის: გადახდა: 155.00 ჯერ ვერ მივხვდი რა ხდება და უცებ გამახსენდა! აწოს მოსაცმელის ჯიბეში ჩამრჩა ბარათი. მანამდე, ბექნუ მიტარებდა ფინანსურ გაკვეთილს, ერთი საიდუმლო მაინც ყველა ადამიანს უნდა ჰქონდესო, ბანკის ბარათის პინ-კოდიო და მე თეატრალურად ზედ ბარათს წავაწერე კოდი. დებილი რომ იქნები ადამიანი. და დამპალი კაცი რომ გეყვარება!
უცებ ბექნუს სახე მახსენდება იმ ბოლო ფრაზის თქმისას. ფონს ვუცვლი, ზურგსუკან თავისი სახლის კედელს ვუსვამ და გონება მინათდება.
- ის შენთვისაა, - ამბობს ბექნუ და იქ, საითკენაც მანიშნებს, სულ ზემოთა თაროზე, ბექნუს კბილებდაკრეჭილ ყულაბას ეღიმება.

დანართი 2.

აღნიშნული ბლოგი იძლევა მოკლე ინსტრუქციას მათთვის ვისაც ბლოგ პოსტის დაწერა სურს.

როგორ დავწეროთ საინტერესო და წაკითხვადი ბლოგ პოსტი?

პირველ რიგში პოსტის დამწერმა უნდა განსაზღვროს თუ ვინ არის მისი მკითხველები და რა აუდიტორიისთვის წერს იგი.

ამ ნაწილში კარგი იქნება თუ თქვენ საკუთარ თავს შემდეგ კითხვებს დაუსვამთ:

1. **რა ასაკის ადამიანებისთვის წერთ ბლოგ პოსტს?**
2. **რა უფრო მეტად აინტერესებთ მათ? (თქვენი პირადი ემოციები, თუ ინფორმაცია, რომელსაც თქვენ მათ უზიარებთ?).**
3. **რა ენაზე საუბრობენ ისინი?**

სასურველია, რომ თქვენი ბლოგ პოსტი კონკრეტულ აუდიტორიაზე იყოს გათვლილი, რადგან სხვა შემთხვევაში ძალიან გაგიჭირდებათ დაწეროთ ისეთი პოსტი, რომელიც წაკითხვადი იქნება ყველასთვის.

ბლოგ პოსტი შეიძლება იყოს პირად საკითხებზე, ემოციებზე, მოგზაურობაზე, საზოგადოებრივად აქტუალურ თემებზე – ყველაფერზე, იმ მნიშვნელობით, რომ მასში თქვენი პირადი განცდა, გამოცდილება და მოსაზრება არის მთავარი.

ძალიან მნიშვნელოვანია

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ, თქვენს აუდიტორიას უყვებით ამბავს და არა აწოდებთ მშრალ სტატისტიკას და ინფორმაციას. აღნიშნულ ამბავს ჰყავს გმირი (ები), ახლავს ემოცია და მიუხედავად იმისა, რომ ჰყვებით საკუთარ თავზე, საკითხი ეხება თქვენს მკითხველს.

ბლოგ პოსტის სახელწოდება

სახელწოდება უნდა იყოს მოკლე, ლაკონური, ინფორმაციული და გადმოსცემდეს თქვენი ბლოგ პოსტის არსს. ეცადეთ სახელწოდება არაუმეტეს 5 ან 7 სიტყვისგან შედგებოდეს.

გაითვალისწინეთ, რომ სახელწოდებამ უნდა მოიზიდოს სწორედ ის აუდიტორია, ვისთვისაც წერთ.

მთავარი ფოტო

ფოტო არის დამატებითი შესაძლებლობა მკითხველისთვის მიხვდეს თუ რაზეა თქვენი ბლოგ პოსტი. ის უნდა იძლეოდეს დამატებით ინფორმაციას თქვენი პოსტის შინაარსის შესახებ. ეცადეთ ფოტო იყოს მიმზიდველი, რადგან მკითხველის უმრავლესობა პოსტს ფოტოს დათვალიერების შემდეგ უფრო კითხულობს.

პირველი აბზაცი

დასაწყისი ძალიან მნიშვნელოვანია თუ თქვენ გსურთ, რომ მკითხველმა გააგრძელოს ბლოგის კითხვა. დასაწყისმა უნდა დააინტერესოს მკითხველი და ნაწილობრივ უნდა ხსნიდეს რაზე გსურთ საუბარი.

სხვა ფოტოები

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ფოტოები უნდა იძლეოდნენ დამატებით ინფორმაციას და აძლიერებდნენ ტექსტს. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ბლოგს თქვენთვის არ წერთ და ამიტომ ისეთი ფოტოები უნდა განათავსოთ, რაც პოსტ გააძლიერებს. ფოტოების შერჩევისას ნუ ატვირთავთ ერთიდაიგივე შინაარსის ფოტოს, ეცადეთ რომ განსხვავებული რაკურსის, მოცემულობის და შინაარსის ფოტოები შეარჩიოთ, რაც ამბავს სხვადასხვა რაკურსით წარმოაჩენს.

პოსტის ძირითადი ტექსტი

გაითვალისწინეთ, რომ ბლოგ პოსტი, ძირითადად, 1500 სიტყვას მოიცავს. ეცადეთ წეროთ მარტივი წინადადებებით. გამოყავით მოვლენები აბზაცებად. კარგი იქნება თუ ცალკეულ ეპიზოდებს ასევე დაასათაურებთ. ეს ბოლო დაეხარება მკითხველს ერთი თვალის

გადავლით (მენიუს სახით) მიხვდეს რაზეა საუბარი ძირითად ტექსტში და ის ადგილები წაიკითხოს რაც მას ყველაზე მეტად აინტერესებს.

სათაურების გადახედვაც მას უნდა აძლევდეს საშუალებას სწორად მიხვდეს თუ რაზეა საუბარი და უჩენდეს სურვილს ძირითადი ტექსტები წაიკითხოს.

დასასრული

პოსტი შეიძლება მთავრდებოდეს გარკვეული მორალით, დასკვნით, მოწოდებით ან კითხვით მკითხველის მიმართ. ამ ნაწილში თქვენ შეგიძლიათ ასახოთ ინფორმაცია თუ რამ განაპირობა პოსტის დაწერა. აღნიშნული თავი შეიძლება საერთოდ გამოტოვოთ.

გაითვალისწინეთ, რომ მკითხველს უყვარს, როცა ტექსტი გრამატიკულად სწორად, მარტივად და ინფორმაციულად არის შედგენილი.

გისურვებთ წარმატებებს.

ნუგზარ კოხრეიძე